

საქართველოს არბიტრთა ასოციაციის
I ეროვნული შეჯიბრი კომერციულ
არბიტრაჟში

წესები



თბილისი, საქართველო

ნოემბერი, 2020

იმიტირებული პროცესი კომერციულ არბიტრაჟში - წესები

1. შეჯიბრის წესები

წინამდებარე წესები (შემდგომში: „წესები“) არეგულირებს I ეროვნულ შეჯიბრს კომერციულ არბიტრაჟში. საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით წესებში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები, რის შესახებაც ეცნობებათ მონაწილე გუნდებს.

2. შეჯიბრის მიზანი

2.1 იმიტირებული პროცესი კომერციულ არბიტრაჟში (შემდგომში: „შეჯიბრი“) არის საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული პირველი ევრონული შეჯიბრი კომერციული არბიტრაჟით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. მისი მიზანია ხელი შეუწყოს კომერციული სამართლისა და კომერციული არბიტრაჟის შესწავლას, არბიტრაჟის პოპულარიზაციას და საარბიტრაჟო წესით დავების განხილვისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებას იურისტებში.

2.2 შეჯიბრის ფარგლებში სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა იმუშაონ ჰიპოთეტური ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სამართლებრივ დავაზე და ამ გზით:

- ✓ გაეცნონ ახალ სამართლებრივ ცნებებსა და მიდგომებს;
- ✓ ქართულ, უცხოურ და საერთაშორისო საარბიტრაჟო კანონმდებლობას;
- ✓ სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;
- ✓ გამოიმუშაონ და დახვეწონ სამართლებრივი ანალიზისა და სამართლებრივი წერის უნარები;
- ✓ გაიუმჯობესონ საადვოკატო (ზეპირი გამოსვლის) უნარ-ჩვევები;
- ✓ იმუშაონ გუნდურად;
- ✓ გაიცნონ სხვა სტუდენტები და დარგის პრაქტიკოსი იურისტები და გახდნენ არბიტრაჟით დაინტერესებული საზოგადოების ნაწილი;
- ✓ მიიღონ უკუგებები საქართველოში მოქმედი დარგის წამყვანი სპეციალისტებისგან;

2.3 წესების განმარტება უნდა მოხდეს ზემოთ მითითებული მიზნების გათვალისწინებით.

3. ორგანიზატორები, მხარდამჭერები და სპონსორები

შეჯიბრის ორგანიზატორია „საქართველოს არბიტრთა ასოციაცია“. I ეროვნული შეჯიბრის მხარდამჭერია USAID-ის მიერ დაფინანსებული „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)” პროექტი. შეჯიბრის მთავარი სპონსორები არიან იურიდიული ფირმა „BLB” და იურიდიული ფირმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“. ასევე, შეჯიბრის სპონსორია იურიდიული ფირმა „NB Legal”.

4. ენა

შეჯიბრი (ორივე: წერილობითი და ზეპირი ეტაპი) წარიმართება ქართულ ენაზე.

5. ადგილი

შეჯიბრის გამართვის ფორმატი და ადგილი დამოკიდებულია პანდემიიდან გამომდინარე შექმნილი ეპიდემოლოგიური სიტუაციის განვითარებასა და ამ მხრივ ქვეყანაში მოქმედ შეზღუდვებზე, რეგულაციებსა და რეკომენდაციებზე. გადაწყვეტილება შეჯიბრის დისტანციურად თუ ფიზიკურად ჩატარების შესახებ მიღებულ იქნება ორგანიზატორების მიერ 2021 წლის დასაწყისში.

6. საფასური

შეჯიბრში მონაწილეობა გუნდებისათვის უფასოა.

7. მონაწილეობა

7.1 შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ნებისმიერი ავტორიზებული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს (რეგისტრაციის მომენტისათვის სტუდენტს დამთავრებული უნდა ჰქონდეს ბაკალავრიატის მე-2 კურსი მაინც).

7.2 შეჯიბრში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ პრაქტიკოს იურისტებს (მიუხედავად სტუდენტის სტატუსისა), რომლებიც რეგისტრაციის მომენტისთვის არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები.

7.3 ერთი უნივერსიტეტიდან შეჯიბრში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს მხოლოდ ერთმა გუნდმა.

7.4 თითო გუნდი უნდა შედგებოდეს 2 - 4 მონაწილისა და არაუმეტეს 2 მწვრთნელისგან.

7.5 შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა გუნდმა უნდა შეავსოს [სარეგისტრაციო ფორმა](#) არა უგვიანეს 2020 წლის 18 დეკემბრისა. შეჯიბრის განაცხადის მიღების დასტურს ელ. ფოსტის საშუალებით მიიღებს სარეგისტრაციო ფორმაში მითითებული გუნდის საკონტაქტო პირი.

7.6 რეგისტრაციით, გუნდი და თითოეული მისი წევრი აცხადებს თანხმობას დაიცვას შეჯიბრის წესები და იმოქმედოს კეთილსინდისიერად.

8. კაზუსი (საქმე)

8.1 კაზუსი ეხება ჰიპოთეტური კომერციული გარიგებიდან წარმოშობილ დავას გამოგონებულ მხარეებს შორის, რომელსაც მოსარჩელე იწყებს საარბიტრაჟო წესით (შემდგომში: „კაზუსი“).

8.2 საარბიტრაჟო განხილვის ადგილია თბილისი, საქართველო.

8.3 კაზუსი გამოქვეყნდება 2021 წლის 11 იანვარს შემდეგ ვებ. გვერდზე www.gaa.ge და ასევე გაეგზავნებათ რეგისტრირებულ გუნდებს სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული საკონტაქტო პირის ელექტრონულ ფოსტაზე.

8.4 დავის ყველა ფაქტობრივი გარემოება მოცემულია კაზუსში და საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წესების 8.6 პუნქტის შესაბამისად გამოცემულ დამატებით განმარტებებში. აღნიშნული ფაქტები წარმოადგენს დავის ირგვლივ არსებულ, მხარეთათვის და მათი სამართლებრივი მრჩევლთათვის ცნობილი ფაქტების სრულ, ამომწურავ და სწორ აღწერას. გუნდები არ არიან უფლებამოსილნი საკუთარი შეხედულებისამებრ დაამატონ ახალი ფაქტი ან მოახდინონ მითითებული ფაქტის ისეთი ინტერპრეტაცია, რაც უთანაბრდება ახალი ფაქტის დამატებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამატებული ფაქტი არის საყოველთაოდ ცნობილი.

8.5 ფაქტების დამატება გუნდის მიერ, რაც არ არის ნებადართული წესების 8.4 პუნქტით, ჩაითვლება წესების დარღვევად გუნდის მიერ და ამგვარ შეთხზულ/დამატებულ ფაქტზე დაფუძნებული არგუმენტი არ მიიღება შემფასებლის მიერ მხედველობაში, არც წერილობითი ეტაპის და არც ზეპირი განხილვის დროს.

8.6 მონაწილე გუნდებს აქვთ უფლება 2021 წლის 20 იანვრამდე მიმართონ საორგანიზაციო კომიტეტს კაზუსში წარმოდგენილი ფაქტების დაზუსტების,

განმარტების ან დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. ასეთ მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს დაზუსტების, განმარტების ან დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზეზი, მიზანი ან მნიშვნელობა. აღნიშნული კითხვები უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელ. ფოსტაზე: gaacompetitions@gmail.com. საორგანიზაციო კომიტეტი უფლებამოსილია თავისი შეხედულებებისამებრ შეადგინოს პასუხები გამოგზავნილ კითხვებზე და გამოაქვეყნოს ისინი „დამატებითი განმარტებების“ სახით შემდეგ ვებ. გვერდზე: www.gaa.ge არაუგვიანეს 2021 წლის 25 იანვრისა. დამატებითი განმარტება ასევე გაეგზავნებათ რეგისტრირებულ გუნდებს სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული საკონტაქტო პირის ელექტრონულ ფოსტაზე.

9. შეჯიბრის ზოგადი სტრუქტურა

9.1 შეჯიბრი შედგება ორი კომპონენტისგან - წერილობითი და ზეპირი ეტაპები. წერილობით ეტაპზე თითოეული გუნდი ამზადებს საარბიტრაჟო სარჩელს და შესაგებელს, ხოლო ზეპირ ეტაპზე გუნდები საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე წარადგენენ ზეპირ არგუმენტებს.

9.2 ორივე ეტაპზე თითოეული გუნდი წარმოადგენს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციებს.

9.3 შეჯიბრის წერილობით ეტაპზე მონაწილე გუნდთა რაოდენობა არ არის შეზღუდული.

9.4 შეჯიბრის ზეპირ ეტაპზე მონაწილე გუნდების რაოდენობა შეზღუდულია და მასში მონაწილეობას მიიღებს ის 12 გუნდი, რომელიც ყველაზე მაღალ შეფასებას მიიღებს წერილობითი ეტაპის შედეგად.

10. წერილობითი კომპონენტი

10.1 გუნდის ყველა წევრი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრის წერით ეტაპზე, რაც მოიცავს საარბიტრაჟო სარჩელისა და შესაგებლის მომზადებას.

10.2 საარბიტრაჟო სარჩელი წარდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს 2021 წლის 15 თებერვლის 24:00 საათისა შემდეგ ელ.ფოსტის მისამართზე: gaacompetitions@gmail.com.

10.3 საორგანიზაციო კომიტეტი არაუგვიანეს 2021 წლის 18 თებერვლისა თითოეულ გუნდს გაუგზავნის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული სხვა გუნდის მიერ წარდგენილ საარბიტრაჟო სარჩელს, რომლის საპასუხოდაც შესაბამისმა გუნდმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს საარბიტრაჟო შესაგებელი. მოპასუხე

გუნდი არ არის შეზღუდული სარჩელში მოცემული მსჯელობით და შეუძლია განავითაროს დამატებითი არგუმენტები. საარბიტრაჟო შესაგებელი წარდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს 2021 წლის 15 მარტის 24:00 საათისა შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: gaacompetitions@gmail.com.

10.4 გუნდი, რომელიც დადგენილ ვადაში არ წარადგენს საარბიტრაჟო სარჩელს ან საარბიტრაჟო შესაგებელს გამოეთიშება შეჯიბრს.

10.5 საარბიტრაჟო სარჩელი და შესაგებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

ფონტი	Sylfaen
ფონტის ზომა	ძირითადი ტექსტი - 11
გვერდების ლიმიტი	არა უმეტეს 30 გვერდი, თავფურცელის, გამოყენებული ლიტერატურის, ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვის, სამართლებრივი დასაბუთების, სარჩევისა და აბრევიატურის ჩათვლით.
დაშორება	დაშორება ხაზებს შორის - 1,2 სმ.
თავფურცელი	სავალდებულოა მხარეების, გუნდის წევრების სახელების და დოკუმენტის სათაურის (საარბიტრაჟო სარჩელი/შესაგებელი) მითითება.
არე	ყველა არე უნდა იყოს 2.5 სმ. ტოლი.
პარაგრაფები	ყველა პარაგრაფი უნდა იყოს დანომრილი.
ციტირება	ციტირება შემოკლებული სახით მოცემული უნდა იყოს ტექსტშივე. სრული ციტირება მოცემული უნდა იყოს დოკუმენტის ბოლოს „გამოყენებულ ლიტერატურაში“. რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას ციტირების „ჩიკაგოს სტილი“.
ფორმატი	PDF ფაილი

11 ზეპირი კომპონენტი

11.1 თუკი რეგისტრირებული გუნდების რაოდენობა არ აღემატება 12-ს, თითოეული გუნდი, რომელიც გაივლის წინასწარ რეგისტრაციას და წარადგენს როგორც საარბიტრაჟო სარჩელს, ისე საარბიტრაჟო შესაგებელს წინამდებარე წესებით გათვალისწინებულ ვადაში, დაიშვება შეჯიბრის დასკვნით ეტაპზე - ზეპირ განხილვაზე.

11.2 თუკი რეგისტრირებული გუნდების რაოდენობა იქნება 12-ზე მეტი, მაშინ შეჯიბრის ზეპირ ეტაპზე გადავა ის 12 გუნდი, რომელიც მიიღებს ყველაზე მაღალ შეფასებას წერილობით კომპონენტში.

11.3 შეჯიბრის ზეპირ ეტაპზე გამართულ თითო სესიაში მონაწილეობას იღებს გუნდის ორი წევრი. თითოეულ საარბიტრაჟო სესიაზე გამომსვლელი წარმომადგენლები შესაძლებელია გუნდის სხვადასხვა წევრებისგან დაკომპლექტდეს. გუნდი თავად განსაზღვრავს ზეპირ სესიებზე მის წარმომადგენელ წევრებს.

11.4 შეჯიბრის ზეპირი ეტაპი გაიმართება 2021 წლის 9-11 აპრილს.

11.5 ზეპირი განხილვების სტრუქტურა და რაუნდების რაოდენობა (მაგ: მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი) დამოკიდებული იქნება მონაწილე გუნდების რაოდენობაზე. წესების ეს ნაწილი დაზუსტდება გუნდების რეგისტრაციისთვის დაწესებული ვადის გასვლის შემდგომ, როდესაც ცნობილი იქნება მონაწილე გუნდების რაოდენობა. ყველა რეგისტრირებულ გუნდს ეცნობება წესების ამ ნაწილის დაზუსტებული ვერსია არა უგვიანეს კაზუსი (საქმის) გამოსვლისა ე.ი 2021 წლის 11 იანვრისა.

11.6 თითოეულ სესიაში (იმიტირებულ საარბიტრაჟო განხილვაში) მონაწილეობენ: სამი არბიტრისაგან შემდგარი ტრიბუნალი, მოსარჩელის ორი წარმომადგენელი და მოპასუხის ორი წარმომადგენელი. საარბიტრაჟო ტრიბუნალი კომპლექტდება საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მოწვეული პრაქტიკოსი იურისტებისა და არბიტრაჟის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებისგან.

11.7 თითოეულ სესია (იმიტირებული საარბიტრაჟო განხილვა) გრძელდება არაუმეტეს 90 წუთისა.

11.8 თითოეულ გუნდს ეძლევა 40 წუთი, საიდანაც 30 წუთი უნდა დაეთმოს წარდგინების ძირითად ნაწილს, ხოლო არაუმეტეს 10 წუთი - პაექრობას. აღნიშნული დრო გუნდის ორ გამომსვლელს შორის ნაწილდება მეტ-ნაკლებად თანაბრად. ტრიბუნალის მიერ თითოეული გამომსვლელისთვის დასმული კითხვები, ასევე პასუხები ამ კითხვებზე ითვლება ამ გამომსვლელისათვის განსაზღვრულ დროში და მათ საპასუხოდ გამომსვლელს დამატებითი დრო არ მიეცემა.

11.9 დროის მართვა და კონტროლი არის გუნდის პასუხისმგებლობა და გუნდის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.

11.10 პროცესის დასაწყისში საარბიტრაჟო ტრიბუნალს ეძლევა 5 წუთი საკუთარი თავის წარსადგენად და პროცესის დღის წესრიგის განსაზღვრად, ხოლო პროცესის ბოლოს - არაუმეტეს 5 წუთისა სხდომის დახურვის მიზნით.

11.11 თითოეულ პროცესს მაყურებლის სტატუსით შეიძლება დაესწრონ ამ სესიაში მონაწილე გუნდების დანარჩენი წევრები და გუნდების მწვრთნელები, იმ პირობით, რომ ისინი არ გაუწევენ არანაირ დახმარებას პროცესში მონაწილე გუნდებს, არ შეაფერხებენ პროცესს, არ ჩაერევიან პროცესის მსვლელობაში ან სხვაგვარად ხელს არ შეუშლიან პროცესის მიმდინარეობას. კონკრეტულ სესიაში არამონაწილე გუნდის წევრებს მაყურებლის სტატუსით დასწრება არ შეუძლიათ.

11.12 პროცესი უნდა წარიმართოს პროფესიონალურ, კოლეგიალურ, კორექტულ და მშვიდ ვითარებაში.

11.13 ტრიბუნალის თავმჯდომარე, ტრიბუნალის სხვა წევრებთან თათბირის შედეგად, უფლებამოსილია დარბაზის დატოვება მოსთხოვოს პროცესზე დამსწრე იმ მაყურებელს, რომლის ქცევა არ შეესაბამება წინამდებარე წესებით განსაზღვრულ სტანდარტს ან სხვაგვარად ხელისშემშლელია პროცესის მსვლელობისთვის.

11.14 შეჯიბრის ყველა მონაწილე ვალდებულია პატივისცემით მოეპყრას შეჯიბრში სხვადასხვა სტატუსით (მწვრთნელი, გუნდის წევრი, არბიტრი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მოხალისე) მონაწილე სხვა პირებს.

12 შეფასების კრიტერიუმები

12.1 შეჯიბრის წერიტი და ზეპირი კომპონენტი ფასდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

12.2 გუნდების მიერ წარდგენილი სარჩელები და შესაგებლები საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გადაეცემა პრაქტიკოსი იურისტებისა და აკადემიურ სფეროში მოღვაწე პირებისგან შემდგარ შემფასებლებს.

12.3 წერიტი კომპონენტი ფასდება შემდეგნაირად:

- სააბიტრაჟო სარჩელი - 50 ქულა;
- საარბიტრაჟო შესაგებელი - 50 ქულა;

12.4 წერიტი კომპონენტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- წესებით გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნების დაცვა;
- სამართლებრივი საკითხის კვლევის მოცულობა, სამართლებრივი ანალიზის სტრუქტურა, სიღრმე და ხარისხი;
- არგუმენტების დამაჯერებლობა;
- საქმის მასალებში მოცემული ფაქტების ეფექტიანი გამოყენება პოზიციის წარმოსადგენად;

- არგუმენტების ამომწურაობა;
- საარბიტრაჟო შესაგებელის შემთხვევაში, სარჩელში წარმოდგენილი ყველა საკითხის განხილვა და პასუხი;
- არგუმენტების თანამიმდევრობა, სიცხადე და ნაშრომის სტილისტურ-გრამატიკული გამართულობა;

12.5 პლაგიარიზმი დაუშვებელია და გუნდის დისკვალიფიკაციის საფუძველია. სარჩელის ან შესაგებლის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც ეფუძნება სხვა ნაშრომს, ან რომლის შინაარსი ან ტექსტი აღებულია სხვა ნაშრომიდან, სასამართლოს/საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან ან სხვა ნებისმიერი წყაროდან უნდა მოიცავდეს მითითებას შესაბამის წყაროზე.

12.6 ზეპირ კომპონენტში გუნდების შეფასება ხდება ყოველი იმიტირებული პროცესის ბოლოს შესაბამისი საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრების მიერ. ამ ეტაპზე სტუდენტების შეფასებისას ტრიბუნალი ითვალისწინებს მხოლოდ შესაბამის პროცესზე გუნდის (ინდივიდუალური ორატორის) გამოსვლას.

12.7 ზეპირი კომპონენტი ფასდება შემდეგნაირად: თითოეული არბიტრი თითოეულ მონაწილეს ანიჭებს 50 -100 ქულას (50-59 = დამაკმაყოფილებელი; 60-74 = კარგი; 75-90 = ძალიან კარგი; 91-100 = სრულყოფილი). პროცესში მონაწილე ორივე ორატორის ქულა იკრიბება, რაც გულისმობს რომ თითოეულ გუნდს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 200 ქულა თითოეულ არბიტრთან და მაქსიმუმ 600 ქულა ერთ პროცესზე.

12.8 ტრიბუნალის თითოეული წევრი თავად, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვრავს გუნდის, აგრეთვე ინდივიდუალური ორატორის შეფასებას. ტრიბუნალის წევრებს შეუძლიათ გაცვალონ შთაბეჭდილებები, თუმცა არ არიან ვალდებული შეუთანხმონ ერთმანეთს შეფასებები.

12.9 ზეპირი გამოსვლის შეფასების კრიტერიუმები:

- არგუმენტების შინაარსობრივი დამაჯერებლობა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა, სამართლებრივი საკითხების, კანონმდებლობის, სასამართლო/საარბიტრაჟო პრაქტიკის ცოდნა და მიზნობრივი გამოყენება;
- დროის მართვა და ეფექტიანი გადანაწილება;
- გუნდური მუშაობა;
- არგუმენტების ეფექტიანი წარმოდგენა, სხეულის ენა და პროფესიონალიზმი;

- ტრიბუნალის შეკითხვებზე პირდაპირი, სრული, ამომწურავი და ადეკვატური პასუხის გაცემა;
- ინტერაქცია ტრიბუნალთან;
- საწინააღმდეგო არგუმენტების გათვალისწინება და შესაბამისი (საპირისპირო) პოზიციის დაფიქსირება ზეპირი გამოსვლის დროს;
- მოპასუხე გუნდის წევრებისადმი და ტრიბუნალისადმი კოლეგიალური დამოკიდებულება.
- საერთო ჯამში არგუმენტაციის დამაჯერებლობა;

12.10 ზეპირი გამოსვლის დროს გუნდი არ არის შეზღუდული წერილობითი ეტაპის დროს წარდგენილი არგუმენტებით. გუნდები უფლებამოსილნი არიან გასცდნენ და განავითარონ საარბიტრაჟო სარჩელში/შესაგებელში წარმოდგენილი არგუმენტაცია.

13 დამოუკიდებლად მუშაობა და აკადემიური დახმარების მოცულობა

13.1 გუნდის წევრები ვალდებული არიან დამოუკიდებლად განახორციელონ კაზუსში (საქმეში) დასმული სამართლებრივი საკითხების კვლევა, ანალიზი და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ სამართლებრივი არგუმენტები.

13.2 გუნდს შეიძლება ჰყავდეს არაუმეტეს ორი მწვრთნელისა, რომლებმაც შეიძლება გუნდს გაუწიონ აკადემიური, ადმინისტრაციული და ტექნიკური დახმარება.

14 დაჯილდოვება

14.1 შეჯიბრის ბოლოს გამოვლინდება გამარჯვებული გუნდ(ებ)ი შემდეგ ნომინაციებში:

- საუკეთესო საარბიტრაჟო სარჩელი (გამარჯვებული, მე-2 და მე-3 ადგილი)
- საუკეთესო საარბიტრაჟო შესაგებელი (გამარჯვებული, მე-2 და მე-3 ადგილი)
- ზეპირი რაუნდების გამარჯვებული გუნდი
- ზეპირ რაუნდებში მე-2 და მე-3 ადგილზე გასული გუნდები
- საუკეთესო ორატორი
- საუკეთესო ორატორი (მე-2 და მე-3 ადგილი)

14.2 ყველა მონაწილე სტუდენტს გადაეცემა შეჯიბრში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ხოლო გამარჯვებულ გუნდებს/მონაწილეს, დამატებით, შესაბამის ნომინაციაში გამარჯვების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

15 დასკვნითი დებულებები

გუნდებს შეუძლიათ წესებთან ან სხვა ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვებით მიმართონ საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგ ელ.ფოსტაზე: gaacompetitons@gmail.com .